

შპს “ლ.და.კ”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4
კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	5
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები.....	5-15

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,424,207	3,178,085
არამატერიალური აქტივები	5	81,218	172,607
შეზღუდული ფულადი სახსრები	6	600,000	154,137
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,105,425	3,504,829
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	3,824,973	3,521,447
გადახდილი ავანსები		3,907,969	841,413
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	5,225,117	5,816,365
საგადასახადო აქტივი		1,659,374	18,191
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	9	5,712,780	5,147,915
ფული და ფულის ექვივალენტები	10	1,133,263	33,365
სულ მიმდინარე აქტივები		21,463,476	15,378,695
სულ აქტივები		25,568,902	18,883,525
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		3,326,816	5,775,205
არამაკონტრორებული წილი		613,637	597,265
სულ კაპიტალი		3,940,454	6,372,470
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის გრძელვადიანი ნაწილი	11	319,654	324,033
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		319,654	324,033
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2,509,516	3,321,970
მიღებული ავანსები		14,380,323	809,811
საგადასახადო ვალდებულებები		-	100,543
მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტები	13	3,585,464	7,623,320
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	11	733,423	171,230
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		100,068	160,148
სულ მიმდინარე ვალდებულებები		21,308,794	12,187,021
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		25,568,902	18,883,525

დირექტორი:

კობა ლომიძე

17 ნოემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები გვერდებზე 5-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლ.და.კ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,424,207	3,178,085
არამატერიალური აქტივები	5	81,218	172,607
შემღებული ფულადი სახსრები	6	600,000	154,137
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,105,425	3,504,829
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	3,824,973	3,521,447
გადახდილი ავანსები		3,907,969	841,413
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	5,225,117	5,816,365
საგადასახადო აქტივი		1,659,374	18,191
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	9	5,712,780	5,147,915
ფული და ფულის ექვივალენტები	10	1,133,263	33,365
სულ მიმდინარე აქტივები		21,463,476	15,378,695
სულ აქტივები		25,568,902	18,883,525
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		3,326,816	5,775,205
არამაკონტრორებული წილი		613,637	597,265
სულ კაპიტალი		3,940,454	6,372,470
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის გრძელვადიანი ნაწილი	11	319,654	324,033
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		319,654	324,033
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2,509,516	3,321,970
მიღებული ავანსები		14,380,323	809,811
საგადასახადო ვალდებულებები		-	100,543
მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტები	13	3,585,464	7,623,320
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	11	733,423	171,230
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		100,068	160,148
სულ მიმდინარე ვალდებულებები		21,308,794	12,187,021
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		25,568,902	18,883,525

დირექტორი:

კობა ლომიძე

17 ნოემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი



შენიშვნები გვერდებზე 5-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან		4,794,997	7,105,810
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება		(5,956,440)	(5,755,139)
ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან		1,506,849	1,374,928
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(1,179,828)	(813,087)
საერთო მოგება		-834,421	1,912,511
სხვა შემოსავლები		192,533	278,095
მიწოდების ხარჯები		(18,168)	(17,250)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,529,525)	(886,198)
საპროცენტო შემოსავლები	15	675,313	641,876
საპროცენტო ხარჯები	16	(760,770)	(918,578)
ძირ. საშუალების გასვლიდან მიღებული მოგება/ზარალი (ნეტო)		190,785	(19,759)
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)		(68,870)	9,108
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		81,049	1,459
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(359,942)	(401,014)
მოგება დაბეგვრამდე		(2,432,017)	600,249
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(2,432,017)	600,249
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		(2,432,017)	600,249
მშობელი საწარმოს წილი		(2,448,389)	580,970
არამაკონტროლებელი საწარმოს წილი		16,372	19,279

დირექტორი:

კობა ლომიძე

17 ნოემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები გვერდებზე 5-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლ.და.კ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან		4,794,997	7,105,810
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება		(5,956,440)	(5,755,139)
ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან		1,506,849	1,374,928
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(1,179,828)	(813,087)
საერთო მოგება		-834,421	1,912,511
სხვა შემოსავლები		192,533	278,095
მიწოდების ხარჯები		(18,168)	(17,250)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,529,525)	(886,198)
საპროცენტო შემოსავლები	15	675,313	641,876
საპროცენტო ხარჯები	16	(760,770)	(918,578)
ძირ. საშუალების გასვლიდან მიღებული მოგება/ზარალი (ნეტო)		190,785	(19,759)
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)		(68,870)	9,108
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		81,049	1,459
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(359,942)	(401,014)
მოგება დაბეგვრამდე		(2,432,017)	600,249
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(2,432,017)	600,249
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		(2,432,017)	600,249
მშობელი საწარმოს წილი		(2,448,389)	580,970
არამაკონტროლებელი საწარმოს წილი		16,372	19,279

დირექტორი:

კობა ლომიძე



17 ნოემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები გვერდებზე 5-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლ.და.კ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისათვის		5,194,234	-	5,194,234
პერიოდის სრული შემოსავალი	-	580,970	19,279	600,249
დივიდენდის გადანა	-	-	-	-
არამაკონტროლებელი წილის ზრდა	-	-	577,986	577,986
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის		5,775,205	597,265	6,372,470
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(2,448,389)	16,372	(2,432,017)
დივიდენდის გადანა	-	-	-	-
არამაკონტროლებელი წილის ზრდა	-	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის		3,326,816	613,637	3,940,454

დირექტორი:

კობა ლომიძე

17 ნოემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები გვერდებზე 5-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლ.და.კ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	არამაკონტრორებული წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისათვის		5,194,234	-	5,194,234
პერიოდის სრული შემოსავალი	-	580,970	19,279	600,249
დივიდენდის გატანა	-	-	-	-
არამაკონტრორებული წილის ზრდა	-	-	577,986	577,986
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის		5,775,205	597,265	6,372,470
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(2,448,389)	16,372	(2,432,017)
დივიდენდის გატანა	-	-	-	-
არამაკონტრორებული წილის ზრდა	-	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის		3,326,816	613,637	3,940,454

დირექტორი:

კობა ლომიძე



17 ნოემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები გვერდებზე 5-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ლ.და.კ” შემდგომში - “კომპანია” რეგისტრირებულია 2007 წლის 24 ივლისს ქ. რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 216441232.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ერთადერთი პარტნიორი და 100 %-იანი წილის მფლობელია დავითი კაპანაძე, ხოლო ღირეფტორია კობა ლომიძე.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი #43/48; ხოლო ფაქტიური მისამართია: საქართველო ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ვახტანგ გორგასლის ქ. N30ბ;

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი	რეესტრში ჩართვის თარიღი	წილობრივი მონაწილეობა
შპს „ფარმა ექსპორტი“	416307062	06.08.2013	70%

მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გასაჯაროების მიზნით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ელემენტების: აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის მუხლების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებულ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (შემდგომში მსს ფასს) და მათი მომზადების კონცეპტუალურ საფუძვლებთან, თუ ქვემოთ ჩამოყალიბებულ ცალკეული ფინანსური ელემენტების სააღრიცხვო პოლიტიკაში არ იქნა სპეციფიკურად სხვაგვარად მინიშნებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2024 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული პერიოდისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. ჯგუფი არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდის 12 თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია), ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2 ვალუტა

ჯგუფი ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.3 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც ჯგუფი ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. ჯგუფი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, ჯგუფი აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. ჯგუფი გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) ჯგუფი ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები შედგება მიღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი განეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულება მოიცავს შეძენის ფასს და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და შესრულებული სამუშაოების თვითღირებულების ხარჯებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- სამშენებლო ტექნიკა და ინვენტარი 2-10 წელი;
- კომპიუტერები და სხვა საოფისე ინვენტარი 3-10 წელი;
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5-15 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 5-15 წელი;
- სხვა ძირითადი საშუალებები 2-10 წელი;

თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივს წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რაც შეადგენს 10 წელს.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ჯგუფი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს აღიარებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

3.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს

ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ასევე, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.8 ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსურ იჯარად ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური იჯარით

ფოლბილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე ერიცხება ცვეთა და ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც ჯგუფის საკუთრებაში არსებული აქტივებისათვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.10 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის აღრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

3.11 ამონაგების აღიარება

ჯგუფი თავისი საქმიანობის ფარგლებში აღიარებს შემდეგი სახის ამონაგებს: ამონაგები საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან, ამონაგები სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რეალიზაციიდან.

საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მიხედვით, რაც დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით და არის საფუძველი შემკვეთის მიმართ მოთხოვნის წარმოშობისა.

საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია.

3.12 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. ჯგუფი დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც ხარჯს.

3.14 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მაშინ თუ მოსალოდნელია ჯგუფის ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფიდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება ჯგუფის საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა

შპს „ლ.და.კ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დაკავშირებული მესაკუთრეებზე განაწილებასთან. ხარჯები განვევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

	სამშენებლო ტექნიკა და ინვენტარი	ოფისის ინვენტარი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ბალანსი 31.12.2023	2,027,840	32,587	6,694	2,186,359	34,284	4,287,765
შეძენა	1,187,449	6,441	9,085	-	-	1,202,974
გასვლა	-51,193	-381	-	-629,933	-800	-682,307
ბალანსი 31.12.2024	3,164,096	38,647	15,779	1,556,427	33,484	4,808,432
ცვეთა						
ბალანსი 31.12.2023	760,066	10,653	3,822	331,380	3,759	1,109,680
ცვეთა	243,784	5,402	1,461	123,240	2,903	376,789
გასვლა	-51,193	-381	-	-49,869	-800	-102,243
ბალანსი 31.12.2024	952,657	15,674	5,283	404,750	5,862	1,384,226
ბალანსი 31.12.2023	1,267,774	21,934	2,872	1,854,979	30,525	3,178,085
ბალანსი 31.12.2024	2,211,439	22,973	10,496	1,151,677	27,623	3,424,207

5. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	სულ
ბალანსი 31.12.2023	7,302	453,271	460,573
შეძენა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31.12.2024	7,302	453,271	460,573
ამორტიზაცია			
ბალანსი 31.12.2023	3,336	284,629	287,966
ამორტიზაცია	487	90,903	91,389
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31.12.2024	3,823	375,532	379,355
ბალანსი 31.12.2023	3,966	168,642	172,607
ბალანსი 31.12.2024	3,479	77,739	81,218

6. შებენი ფულადი საშუალებები

შებენი ფულადი საშუალებები წარმოადგენს ფულად სახსრებს ფინანსური ინტიტუტებისგან მიღებული გარანტიების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული გარანტიები დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე სამუშაოების შესასრულებლად გაფორმებულ ხელშეკრულებებთან.

7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

ჯგუფის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2024	31.12.2023
საქონელი	53,721	36,209
მასალები	1,271,487	1,054,689
დაუმთავრებელი წარმოება	2,424,620	2,361,140
საწვავი	5,735	-
სხვა	69,409	69,409
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები:	3,824,973	3,521,447

დაუმთავრებელი წარმოების ნაშთი მოიცავს სხვადასხვა პროექტებზე გახარჯულ მასალებს და გაწეულ მომსახურებას. პროექტების დამთავრების შემდეგ, როდესაც პროექტიდან აღიარდება მისაღები შემოსავალი, ეს აქტივებიც გადატანილი იქნება პროექტებთან დაკავშირებულ თვითღირებულების ხარჯებში.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	5,221,474	5,815,373
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	3,643	992
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	5,225,117	5,816,365

9. გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

ჯგუფის გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
გაცემული სესხები	4,108,741	4,174,968
მისაღები პროცენტები	1,604,039	972,947
სულ გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები:	5,712,780	5,147,915

შპს „ლ.და.კ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაცემული სესხები მოიცავს იურიდიულ პირებზე გაცემულ არაუზრუნველყოფილ სესხებს 13%-15%-ის ფარგლებში.

10. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

მოცემულია 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ნაშთები:

	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული სალაროში	1,036,599	805
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	96,664	32,560
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები:	1,133,263	33,365

11. ფინანსური იჯარის ვალდებულება

ჯგუფის საიჯარო ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც:

	31.12.2024	31.12.2023
მოკლევადიანი ვალდებულება	733,423	171,230
გრძელვადიანი ვალდებულება	319,654	324,033
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულება:	1,053,077	495,263

	31.12.2024	31.12.2023
1 წელზე ნაკლები	733,423	171,230
1-დან 5 წლის ჩათვლით	319,654	324,033
5 წელზე მეტი	-	-
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულება:	1,053,077	495,263

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	2,477,667	3,246,179
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	31,850	75,791
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:	2,509,516	3,321,970

13. მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტები

ჯგუფის მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
მიღებული სესხები	3,418,666	7,135,319
გადასახდელი პროცენტები	166,798	488,001
სულ მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტები:	3,585,464	7,623,320

ჯგუფის მიღებული სესხები დენომინირებულია ლარში, რომელთა საპროცენტო განაკვეთები შეადგენს 13-15%-ს. კომპანიას სესხები აღებული აქვს, როგორც საფინანსო ინსტიტუტებისაგან, ასევე არასაფინანსო ინსტიტუტებისაგან.

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	1,137,164	627,671
კომუნიკაციის ხარჯი	4,918	3,600
საკანცელარიო ხარჯი	1,082	972
სამეურნეო ხარჯი	46,179	5,058
კომპიუტერის ხარჯი	1,108	163
კომუნალური ხარჯი	6,801	2,056
ცვეთა და ამორტიზაცია	40,198	58,243
საგადასახადო ხარჯი	6,967	23,470
დაზღვევის ხარჯი	13,388	7,434
საიტარო მომსახურების ხარჯი	55,234	49,518
საბანკო ხარჯი	76,505	4,440
მივლინების ხარჯი	38,608	27,519
დამქირავებლის საპენსიოს ხარჯი	43,288	37,532
სხვა ხარჯები	58,087	38,523
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,529,525	886,198

15. საპროცენტო შემოსავლები

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	631,092	641,876
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	44,222	-
სულ საპროცენტო შემოსავლები:	675,313	641,876

16. საპროცენტო ხარჯები

	2024	2023
სესხის პროცენტი	672,261	804,328
ფინანსური იჯარის პროცენტი	88,509	114,249
სულ საპროცენტო ხარჯები:	760,770	918,578

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, აღვნიშნავთ არა.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2025 წლის 17 ნოემბერს.